

45  
960

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՊԵՏԱԿԱՆ ԳԻՏՈՒԹՅԱՆ  
ՊՐԻՆԿԻՍ



645

12

Մ Մ Ե Ժ Կ Ե Թ Ե  
**Դ Յ Մ Ե**  
№ 7 ՈՅԸՈՆԸ 1960 Յ.



ეს სიმპატიური სახის ქალი, კოსმოსს რომ გასცქერის, თინათინ რაზმაძეა - აბასთუმნის ობსერვატორიის მზისა და ცთომილების განყოფილების გამგე. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. იგი ხელმძღვანელობს გამოკვლევებს მზეზე მიმდინარე ფიზიკური პროცესების შესწავლის დარგში.



გამოცემის  
მედიის  
წილი

საბჭოთავი  
ქვემო

უკველურად საზოგადოებრივ-პოლიტიკური და  
სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი  
№ 7 ივლისი 1960 წ.

კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვერელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილენი, სოციალისტური შრომის გმირები—მარჯენიდან: ვ. ვაგანოვა (ვიშნი ვოლორეკის ბამბეულის კომბინატის ბრიგადირი), ე. გეგელაშვილი (გორის ბამბეულის კომბინატის ბრიგადირი), ვ. ბელოვა (კალინინის ოლქის საბჭოთა მეურნეობა ბოლშევედის მფლობელი), მოსკოვის გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.



ფოტო ო. არობელიძის

# რეპორტაჟი ცემიდან

თეთრი ზღვა უხანაუროდ მალდებდა პირი-ზონტთან და ნაპირის გაღმობის, აესეს ველებს, ტყეებს, ბნელ უფსკრულებს. თინდებდა. ჰოტი ხმას იკმედს, თვალებს ჰუტავს გაზაფხულის უხალო დღის შებნედავარ და ფულუროში ღრმადებდა, სადაც გადარჩენილა რამდენიმე წვეთი ღამისა. «გუგუ» — ზღე ყურთან დასახის ახლადმღვარი გუგული. დამფრთხალი ჰოტი ბეც თვალებს ახამხამებს და კიდევ უფრო გულ-მოღვინედ ტყვევს ღამის ნაგლეგებში. «გუგუ» — შესახებს ანძეპიებით აღმართულ ფიჭვებს აღ-მართში ქოშინით ამოშავალი, ორთქლად და კვამლად გახვითქული «გუგულა მატარებელი», შუა ტყეში ჩადგმულ მიზრდილ გზისთან შე-ჩერდება. მგზავრებს ჩამისვამს და კვლავ აქი-შინდება. გზის ერთ კიდეში რამდენიმე ცის-ფერი სახლია, შობირდაბირედ — სასმართულია-ნი ვეება თეთრი შინობა. ეს არის და ეს. და ამას ქვეა პატარა ცემა. ფიჭო შინობას უღ-ზე შვიგ მარხარისოთ ფიჭოტა ახატავს, რომე-ლიც ვეაგმნობს, რომ აქ საქართველის სსრ განაოლებს საშინისტროს სატყო სკოლა-სანა-ტროშია.

მადლი კარი იღება, შორიდან მოსული მშობლები რბილი საფარლებით ვაჟიშობლ ვესტრბულში მოთინებთი ელოდებიან ზავშეებს. აქედან იწყება ჩემი რეპორტაჟი.



ფოტო ღ. იაკობაშვილის

აგერ, კიბეებზე ჩამობრის ლყააწითლებული გოგონა. ანაილი, გენაცვალს დედას — ახალ-გაზრდა ქალი შვილს გულში იკრავს და თან ხარხად აკვირდება. რა ღამაზად ამბოურულ-ლა ლყა; როგორ გამქრალა სიმერთალა, რო-გორ გამრწინებულა თვალები, ხალისით ავ-სებულა გული, მადლობის შეტი რა ეთქმის ვეშენა ლოლიმაქს. ახალი სასწავლო წლი-დან ნაილი დაუბრუნდება თბლისს, სკოლას, ახანავებს ევკე მე-7 კლასის მოსწავლედ.

ღვერწნის თავში ხელოვნებაკიდებული გო-გო და ბიჭი გამოინდა:

— ჩვენი დეიკო მოსულა! — იხბისს ხელი-კო და ციყინო წინ შიაქანებს.

დედა წამით თვალებს ზუქავს, სინარულის ცრემლებს უკან აბრუნებს, შვილებს უსიტყოდ ხვევს ხელებს და გარეთ გაიყავს... აქ შუგა და ფიჭვების მასფრი სურნელი გუგულის ძახილი და ზავშეების ქრაიბული. დღეს კვირაა, გარ-თახისა და დასვენების დღე. დედა აქურსს ჰკი-თავს, შვილებს წყაღტუბის ახმაგი აინტერე-სებით, თავიანთი საყვარელი სკოლისა და ა-ხანავებისა.

ოქო ვინდა დგას ოაგაღწეული, დარცხე-ნილი, გაუმეზღოქს ეს თემურის უეშმაქია, რტვიმ დაურტყვი. მაშინთვისა სიმართლი დამალავს, სასწავლო ნაწილის გამეკ ქსინა ქერქამე ახლა მშობლის თანდასწრებით ტუქ-სასე ურჩ ბიჭუნებს. თემურ ხუნუნიშვილი ახალდაბულია, I—II მეოთხედებში სკოლაში არ უღლია, ჩამორჩა, განსაკუთრებით მათემა-ტიკა გაუბრდა. აღმწრდლებში და მასწავლე-ბლები ეხმარებანა. თემური უცე ამწორებს ჩა-მოჩრენას.

მწვიანანზე ზავშეებს წრე ჩაუბამო, შალვა ზახაროვი აკორდონზე უკრავს. და-ძმა სუ-ლიკო და ციყინო ნიშნიანძეებში მოხდენილად ცეკავენ, როგორც შეგვრის ქართული ხელო-ვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწი-ლეებს, დედა უშურს და უხარია.

ფიჭვების ჩრდილში თამარ აბრამიშვილს — საკლუბო მუშაობის ხელმძღვანელს — ინსცე-ნირების მონაწილენი შეუერთა და «ნიშნებს გასაბრტყას» აწყობენ. აქ არის: უზრუნველი ფერთაინაზ ანიკო დაუშვილი, უკმაყოფილო, მოღუშული ოზრიაინა თემურ თედიაშვილი — მას არ უნდოდა ეს სამაგელი როლი. მაგრამ არ მოეშენენ, ავეე არიან გაუბეღელი «სამიანიც» და მყინარა, ამაყი ხეუთიანიც.

სასწრაფოდ გარბის დღე.

სადღის წინ გემიბის კაბინეტი იცისება. ეს დრო გამოყოფილია ავადმყოფი ზავშეების მკუ-რნალობისათვის. ქობულთედელი ღამარა კოტე-ლია, IV კლასის მოსწავლე, სკოლა-სანატო-





რიუმში მოვიდა ჩაკირული ბრონქოლენიტის დაიკნინოთ, ადგილობრივმა რენტგენმა უფრო რთული დაავადება უჩვენა. ახალგაზრდა, მეტად დაკვირვებული, გულსხიმიერი ექიმი ქალი ანა აკოიანი გოგონას განსაკუთრებული შრომუნველობით წყურბა, ყოველდღიურად სიტყვის უზომავს, ფარმაცა აძლევს, აკვირდება. ნათესავი ჯორბენაძეს ინფლტრირებელი ბრონქოლენიტი აქვს, ადრე გადატანილი ჰქონია რევმატიული დაავადებანი, რასაც გააღუნა მოუხდენია გულზე. ექიმს იგი განსაკუთრებული მეთადეურობის ტემპ ჰყავს. აქ არიან ტყიბულელი ღარის ივანოვა, პათოლოგი ანატოლი ხალადავი, დუშეთელი ზამირა შაბური-შვილი...

ამ თიხანში ზოგჯერ შემოვიღიან ვალიკო ტელაშვილი, როლანდ ჩიტაიშვილი, ზურაბ ვეკუა. ისინი აქ მესამე მუთოთხელის დასაწყისში მოვიდნენ სერიოზულ დაავადებებში. სამი თვის მანძილზე სრულებით განაზრასდალდნენ, წინაშეც მოიბატეს, სწავლაშიც წინ წავიდნენ. IV მუთოთხელში ექიმის მოთხოვნით კვლავ გაუტრეტლადთ მეურნალობის ვადა. ახლა ისინი სასწავლომოქმედ პაერზე საბოლოოდ კაცდებიან და იწრობიან.

ზარი ირეკება. გრძელ, გაკირალეულ და რაბაზში თეთომოსასურებება და მორიგებეს მოაკეთ სადლი ამხანაგებისათვის. ნატო უბერი, ვერა მარღანი, ნათელა ჯორბენაძე, თინა სხიხიდაძე სწავლად მოიღიან მკვიდეების გრძელ მყვარების შორის, პირველკლასულ ვახტანგ ერტლიძის ყველაზე გვიან მოყოლა ულუფამ, მაგრამ ისე მაიდანაღ შეექცა, რომ სხვებს მოასწორო. დღემისი გაოცებულა: შინ სულ უქმელი იყო, ამ საკვირველმა პაერმა რა სასიკეთოდ იმოქმედაო.

სადლის წყნარი საათი მოსდევს, ამის შემდეგ ბავშვები სხვა დღეებში გაცვეთილებს ამხალდნენ ზოლზე. საამისოდ ორი საათია განკუთვნილი. კვირის რეჟიმი განსხვავებულია. ახლა ნაწილი სუფთა პაერზე სვირნობს, ნაწილი საკლუბო საქმიანობითაა გატაცებული, უმრავლესობა პაერითა თიხანში ერთობა.

ამ ბუდე ცოცხრივდ მორიგეობს. თან გატაცებით ვიხანაშება შაშის აწორი ზეტიას, ბუდე რუსთაველი ცხოვრობს, მე-ნაწილი სკოლის

VII კლასში სწავლობს, მამამისი ბეტონის კომპანატის მუშაა. ელეონორა ავეტისოვა კვდლის გაწოთ აფორმებს. იგი თბილისის 28-ე საშუალო სკოლის მოსწავლეა. მრავალშვილიანი ოჯახიდანაა, მამა არა ჰყავს, დედა ავადმყოფია. თავადაც 6 თვე საავადმყოფოში იწვა ბრონქოლენიტი და პირდაპირ აქ მოვიდა. მამონ III მუთოთხელი დგებოდა, ამ 5 თვის მანძილზე შესამჩნევად გაუზოზობსდა მისი მდგომარეობა. იგი ხალისინადაა, ყველაფერი ეხერხება—(ყვეა, სიმღერა, ქარგვა, ხატვა, ჭადრაკი...

საქადრაკო მაკიდას ორი წყვილი უზის თამაზ დანელია და შოთა კოზმანაშვილი, ალინა იხნელი და სულიკო ნიშინიძე. ითი საბავშვო ლიტის თამაზონენ რუსული ჯგუფის ბავშვები, ზინა ზაიცევა ღამაზი, თვალბუკურის ტყებულელი გოგონა, შარშან რომ აქ ისვენებდა და წელსაც ესტუმრა ამ ავარიას და ლუბა მარკოშინა—თბილისის 48-ე საშუალო სკოლის მოსწავლე, ოქტომბრელი, ორიოდე თვეში რომ საგარნობლად წამოიკეთა...

მზე ნელა ჩადის ნაქებისა და ფიჭების იქით, ფანჯრებში ირბამდ იხმება და იატაკზე წიწილა ჩრდილებს აფენს ისე, რომ პატარა ღამარა გოგინავს ლანდი მთელი თიხის სივრცეზე გადებულა და კვლავაც უშობტებულა. ღამარას და მის მეგობარს ლილა ცერცვაძეს კიდევ ერთი ახალი წიგნი მაკვირ წასაკითხად. ბიბლიოთეკა, რომელიც 4.000-მდე გჭმზლარის ითვლის, თავისუფლად საათებში მუდამ სავსეა ყურნალ-გაზეთების მოყვარული ნორჩი მკითხველებით.

ფანჯრებიდან მოჩანს, როგორ ბრუნდება ბაკურიანიდან პატარა, მწყვენ მატარებელი. ვერ კიდევ შორიდან, ძალზე შორიდან ისინი მისი მისი ეკლამოთხადარი თუხუბო. მოვა, ორიოდ წუთის დადგება, მეზარებს ასკრფეს და ბორჯომისაკენ გააქროლებს.

ბივრე ჩაკვიდება მზე მთებს იქით, წამოვა ზინა და სივრცელ ნაქვის ტრეტებს ასევეა მთავარ, ავა ტწწერიოზე და ცის თვალმუდგამ ოკეანეში ჩაყვინთავს. პალატილი და დრევენებში ნელ-ნელა ისადგურებს სიმოქე. 130 ბავშვი იძინებს შვიდი ძილი. რადიოდენ დიდ და ეს რიცხვი სწრაფად მოიმატებს—ზავებ-

ლის არდადეგების დღეებში ერთობად მეტი დამსვენებელი ესტუმრება პატარა ცემს. წლიურად აქ 2.500-მდე სწავილი იკავებს განმრთელობას ვინ იყის, რამდენი? ათასი ბავშვი საბოლოოდ გამოჯანსაღებულა პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში მისი არსებობის 17 წლის მანძილზე?

ამ ჩამინებული საწოლების შორიხალი ფრთხილად ჩაივლის მალაღი ღანი. დირექტორის დირექტორი ჭეკანაძის ფინზელი თვალცვერის ამნვეს და ამიტომ ყველაფერი მუდამ წყურბომა. როცა ყოველივე მიღს მიცევა, იგი ტრავებს მოვარის შუქში გახვეულ კორბუსებს და ნორჩი ალვების ხეივით ცისფერი პატარა შვინბისაკენ გაემართება. ვერ კიდევ ორიოდ წლის წინათ სკოლა-სანატორიუმში ამ პატარა მის სახლებში იყო მოთავსებული, რა სწრაფად მიღის წინ ჩვენნი ქვეყანა, ამ მოთის ბაჟაწინა უკრატსაც კი მისწვდა საერთო მძღავრი ღინება...

უკანასკნელი კარი იხურება. რეპორტაჟი მთავრდება.

თინა სხიხიდაძე



# ფეიქარი

გონა კი გამოცდილმა მჭირველმა ევერეტმა რეველივამ აიყვანა მოწოდებ, მატროსა და ჰემს კუპაზე გაგზავნა. გვგონა უზარმაზარმა დაზვეგმა გააკო. მათ სწავრნი არაფერი ესმოდა.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. გამწვარდა შეიღების ოჯახში გვგონა-ხიხემა „დახსნა ვიდენენ“. ცხრა შეიღის დედას ეწერნო ორი შეიღი,—იამზე და დედაგარდა-და დარჩა. ქალიშვილები დათხოვდნენ, დაოჯახდნენ. ვაჟიშვილებმა სამხედრო ვალდებულება მოიხადეს და მუშაობენ.

გვგონა ქსავაში დათხოვდა, მაღლობას მაღლობა მოჰყვა, გვიღობს—გვიღობ და მისმა ფოტოსურათაც დაიკვია საბჭოთა დედაზე ადგილი.

ფეიქარა ქუჩაზეც აუფუნდა მესაკვთარი... მატარა კობახების ადგილზე მრავალსართულიანი ბინები წამოიჭმა. გვგონას ნახსენარზე კი ახლანას შემოხსნას ხარხივინი ღამაშ შენობას. ცვირადღეს თუ გასულია ღვინისი ქუჩაზე-უკვლავ დიდი და ღამანი სახლის მისხანე ხართულზე შეამჩნევთ აივანზე მოფულფულე ქალიშვილს. ეს გვგონა გამწვარდაშვილია...


— თუ ქელი მადალხარისხივანი არ აობს, ახა ის ნაქსოვი რა ნაქსოვი იქნება,—სწორად ამბობს გვგონა და საქვავ დაზვიადან საქვავად დაზვიად გადართვლებს. მეთაურელია იგი მოსამზადებელ სამჭკროში ქვების ხარისხს აუფრავსებს. ბევრი მოწავე გამოწვარდა, ბევრს შეუყვარა ქსოვა და ქვლევა. დიდი, ნათელ სამჭკროში უზარმაზარი შევი დაზვიადები გრილიდნენ. თვითონვე დაზვიად ორი მუშა უტარიალებს. გვგონა ყველას ჩაბოვდნის, შეამოწმებს, ზოგს შეიქებს, ზოგს უთქმელად შეუწოვრებს.

იგი დაზვიად ბოლოს, ხის ჩარჩოს ფეხს აჭერს, დაზვიად ახმარდება, გვგონა ახლ დაზვიად სხისართული შექმურებს. აი, კიდევ ვაწყვიტა ძაფი და ავტომატური განაჩერიბული დაჭკერი დაზვიად დავარდა, ლითონის გმრელ სვეტზე მოთავსებული მატარა ნათურა წოლად იწიება, რაც ძაფის ვაწყვეტის ნიშანია. ის უტყდა ბოლოს დაწყვეტბლს, მწარავად ახამს ერთმანეთზე და დაზვიად ხედალბო რთავს.

ამ სამჭკროში ყოველთვიური გვგონა 140—160 პროცენტით სრულდება. ეს კი სულ ახლანას იყო.—გვგონა დილაადრჩიანად შევიდა სამჭკროში და ბრიგადირი ნოდარ თუმანივი მოხანა: შენი ბრიგადა მეთრე ბრიგადას უნდა მიამბარო, თორემ მალთან ჩამორჩნენ და სირცხვილს გვაქმევნო.

განაყოფილება—გუგული ნიქსაბე, თინა წრეთელი, ნარფიზა ოსბე, მოტო კალანდა, მარია ლაბანა, ელინი კუბაბაძე და ეფინა ბრეგაძე ჩამორჩენილებს გვერდში ამოუდგნენ, მოწინავენი გახადეს.

— ეს, ჩემო კარგო, ქალის მუშაობა... თორემ ერთბაშად ცნობილი არ გახდება,—ახლა აღარ იტყვის ამას ილია გამწვარდაშვილი, მისი უმცროსი ქალიშვილი გაგანთვვილიც არის და საქართველოს სსრ უმადლებს ხაზობს დამუტადიც.



სამამულო ომის დღეები იყო. ილია გამწვარდაშვილი თერაპიის რაიონში მუშაობდა კოლმედიკოსის თავმჯდომარედ. სწორად თვოდან თვემდე ვერ იცლიდა შინ წახლულიყო ცოლ-შვილთან სანახავად, ის ცვირადღე კი ცოლ-შვილთან გაატარა. საღამოს გამწვარდაშვილების სახლში სინათლე არცის აღუნთია. თერთმეტივე ხული უტყდა ჩაყვინა მუცლის ტიშში. სწორედ ის დრო იყო, როცა სოფელში ყველა ფეხზე იდგა: წლის მისხავდს თესვადნენ, წვრილშვილიც კცუდ დროს უმზობლა ბედა.

საავადმყოფოდან რომ გამოვიდნენ, უპატრონოდ მივდებულ ბაღ-ბოსტანს ქობორზე სცემდა ხალახი.

ცხრა შეიღის მატროს ცხოვრება ვაუჭირდა.

და აი, ზაფხულის ერთ გრილ საღამოს, როდესაც ილიას ჯდალბობა ეწოთა გამოხლულიყო, სამეზობლო კარებით შემოვიდა ენამახვილი მ. ხვარშია და ხმროსხა-სუმრობით შეპარა:

— შე დაეცვილი, ეს ბავშვები რომ აბრეშუბს ქიანავით ვაგებრავლებია, ვადარჩიე და ვამოხანებ საქმე, ეს შეიცი კლასი დაამოვრებს და რას ერჩი? ხამი უკვე წამოწარდილი გყავს და ამტყავ შენი. ჩემი შეიღი ამათზე დიდი კი არაა, რომ მეორე წელითა ქუთაისის მაუღის საქვავ ფახ რიკაში მუშაობს. რა გვიბრის, ჩაიყვანე ქუთაისს, თან იმუშავენენ და თანაც ისწავლიან, შრომას მიეჩვენებენ, თავს დაირჩენენ...

— ეი, ჩემო კარგო, ქალის მუშაობა... თორემ ერთბაშად ცნობილი არ გახდება,—ნაღლიანად ჩაილაპარაკა მამამ. მატროს მწარად კუპაზე დაუფდა მეზობლის რჩევა, დედას კი მოწოდებულ ქალიშვილების მოშორება ვერ გაეხდენა.

ცხელ ზაფხული იდგა იმერეთში. შრომით მიქანებულ სოფელს ადრე ჩაეტანა. გამწვარდაშვილების ოჯახში კი მთელი ღამე მოუხებწარად ვატარებს გვგონებმა, თვალი არ მოუხებუეთ, ისე დათენდათ. დილაადრჩიანად ეროს კარი გაიხურებს... იქ, ეწერნო დარჩა მათი ბავშვობა, თვალმუხობანასა და ასკინქობას თამაში. ტყულებივით თანატოლი ომბი და ქუთაისის მაუღის საქვავ ფახრისკის მიადა. იქვე ახლოს, ფეიქარა ქუჩაზე, კობახების შორის მატარა ფიცრულა დაიქირავებს. იმ დღიდან შეიფერებს მოწაფეობა. დები გამწვარდაშვილები სწავლის ვატყვლებსა ერთადნენ, დღისით მუშაობდნენ და საღამოს სწავლობდნენ. უტრობი და, ვაუთუდი ძაფის ხვევაში დაობტად... ჯვარედინად გადახსავევ მაქანაზე იწყავდა ხელს. ქინია ნობის საქვავ დაზვიად მიიჭირებს, მართო შენდელს ქსოვდა. ხელ მატარა—ფო-

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი. ლაბორანტი ნანული კაკაბაძე ამოწმებს ქსელზე ძაფის წვეტილობას.

ფოტო დ. იაკობაშვილის

ძმომეანს ხასუტაშვილი

# 55 წლის უკუ

ორმოცდახუთმეტი წლის წინათ დაშორდა იგი ქუთაისს, ქალაქს, რომელთანაც მოწავეობის წლებს გარდა სხვა ზეერი მოცინება აკავშირებს. ეს მოგონებები ხშირად სწევია მარია სტანისლავის ასულ ლევეცკიას ლინდენგრაფში ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. ხშირად უფროა სტუმრებოდა ქუთაისს, მიუხედავად სკოლის მუხიანა შერჩეული ამანაგადი, დაეთვალეურებნა ნაყნობი ადგილები, მაგრამ...

ოჯახი, დედისა და მუდლის მოვალეობა, სამოქალაქო ომი, რევოლუცია, სამამული ომი... ყოველივე ეს გადაიბოძა მისი სურვილის განხორციელებას, მაგრამ ეს სურვილი ჩაუქრალად დარჩა წლების მანძილზე და 72 წლის ასაკამდე მოსდია. არიან ადამიანები, რომელთაც პირადი უხედურება, მწუხარება აძაბუნებს, სიცოცხლის ხალისს უკარგავს, ყველაფრისადმი უინტერესოს და გულგრილს ხდის. მარია სტანისლავის ასული მის რიგის ან ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ ცრემლის შეკავება უჭირს, როცა დიდ სამამული ომში დაღუპულ მუდლსა და ერთადერთ შვილს იგონებს.

გადატანილმა ტყველებმა თავისი ქა, დასწევულად მიიხედა, ყავარჯენს დაეკრუნო მისი მარალი ტანი. რამდენიმე თვის წინათ მისმა სათაყვანო შვილიშვილმა მიიღო მისი ზოგადი მამულისა. იმ მამის, საკუთარ თათთან და ფიტრებთან მარტრად დარჩენილმა, გადაწყვიტა ჯერ გაეკრუნებოდა და მერე უყავარჯუნო ქუთაისს წაეყოლა. შეტრანსპორტის პირველი თვე სოფელ ვაგატრა, შემდგომ სოხუმში გადაინაცვლა. მალე ყავარჯენი გადაეცა მისთვის, ტანში გაიზარა.

...სადეკორირებდა ქუთაისს ელდორად ელემენტობატარებელი. მერე სულას ეკლ... შეტრდა. წამოხდა მარია სტანისლავის ასული. ნაცნობი ვაგაზალი, ნაცნობი შერთმა, ეს უკვე ამხედვებს მარია სტანისლავის ასულს იქ, სადაც მას არიან იცნობს. იგი გამოიღის სადღურის მოვალე და... სახტად რჩება: დარბაზბატარებელი დუქნების, სამიტიტნობის ნაცვლად თვალში დიდებული სახანაბა გადაეშალა: ლინდის მოწმენტი ტური ძეგლი, ლინდისა, რომელიც უნახავს ლინდენგრაფში დინდინდინდის მისი ჩამოსვლის დღეს.

იქ ქვემოთ ქ... რა იყო წინათ? არაფერი. აქა-იქ მუხრად თუ იდგა ქიზმბები, ხზლა ქ ლარებით გადაიქრულა ლინდის პრესიპეტი, ასაფხურბრინა

კიბე — 1905 წელთან შედარებით ასი სავეხურით უფროსი ქუთაისისა.

ციხეხე-ციხეხე მიიღო ქალაქის ცენტრს. ყოველი წინათ ნინოს სასწავლებელს ეძებს. ბეშტინის ქუჩაზე გაიდა კიოვის ქუჩით. აფეთქების შემთხვევაში შირადი და მისივე მოიხარა, რომ იქვე მისი სასწავლებელიც გაუხვია 1905 წლის რევოლუციის ქუჩისაკენ და... რამდენი მოიგონება.

ბევრმა ქუთაისელმა შეიძლება არ იცოდეს, რატომ მიანდინდამიან ამ ქუჩას ეწოდება რევოლუციის სახელი. მარია სტანისლავის ასულს ეს არ აეკარებდა. მას ახსუსი როგორ გამოიხედინ ამ ქუჩაზე 1905 წლის დემონსტრანტი განმანათლებელი რომლებმაც მოსწავლე ქალიშვილებს აწინააღმდეგებდნენ, რათა რეალური სასწავლებლის მოსწავლეებთან ერთად წასულიყვნენ ციხისკენ პოლიტიკური პატივების განთავისუფლების ღონისძიებები და შეპისილებით ამ ქუჩაზე მდებარე მამის იგი ლინდის საყვარელი სიმღერას: მშობრბო, წინ, წინ გასწით...», რომლის ტექსტიც და მელოდია იმ ხანებში თბილისიდან ჩამოიტანა მარია ლევეცკიას ძმამ — ეკსპიკური გინანაზის მოსწავლემ პეტრე ლევეცკიმ. მარია სტანისლავის ასული ძმასთან და მის ამანაგებთან ერთად მიზაჯებდა კოლინდინ... გაეცხე შორის იმ დღეს გრძელხელბინი ვლადიმერ მაიაკოვსკის ელ.

აქ, ამ ქუჩაზე თითქმის ყველაფერი ნაცნობია — სახლებიც, ხეებიც, სასწავლებლის შესასვლელიც, ვესტიბულიც, ორბორი მოხვეული კიბე... როგორ ძეგრს გული, როგორ თითიან მუხლებიც: ამოიხაე მოხუცმა უკანასკნელი სავეხური — მარჯვნივ დერეფნისკენ გაიხედა. აქ იყო მამის სამასწავლებელი. შირდა. შეტრდა: აბარბობო.

აქ გამოიხედინ ყველაზე კარგად, აქ შევალ... გაიფიქრა და შევიდა. მიიღინდინ გაუმართლდა: სუბტროპიკული ინსტიტუტის გულთბილად მიიღეს მოხუცი. მიიარა დერეფნები, შევალ თავისი საკლასო ოთახის კარი, სასოებით მოვალ თვალის კვლდებს, ჩამოხდა მერბზე, წამით კვლავ განიცხდა მოწავეობის ტემლი დღებში და... საეტივ დარბაზში შეეშინა თიხობა.

შეეცინ მუხუთუეტრსელი ბაბუეები და ქალიშვილები.

— მამინ ეს სცნა არ იყო. მის ნაცვლად მიიღი კვლის სიგრძეზე ზუთის საღვანებო შეტრულე-

ბული მუვე ნიკოლოზ მეორის სურათი ეკლდა. მარცხნივ მღვდლის კადრება იდგა. ვაკეობლები მის დაწვებამდე აქ ამოყავდითი სალოცავად. — იგონებს მოხუცი.

— მოსწავლეთა გამოსვლების დროს ვიღაცამ მუხის ციხურით თვალისა დადილზე შევიღებულე გაცუკა პირტრებს. კარგახანს გასტანა მოსწავლეთა დაკითხვამ, მაგრამ თვალის დამინხრელი ვერ აღმოჩინეს. ამ ამავს მალე სასწავლებლის დირექტორი ემსხვერპლა, მოხსენს სამუშაოდ.

მარია სტანისლავის ასულ ლევეცკიას მამა განათლებით ორისტი იყო და ვლადივოსტოკიდან გადმოსული, ნოტარიუსად მუშაობდა ქუთაისში. მისი ოჯახი ცხოვრობდა ახლანდელ სტურუსს და წულუკიის ქუჩების კუთხეში.

განა შეეძლო ეს სახლი არ ენახა მოხუცს? წავიდა... თვარი ხილი იყო, შეტრდა. მოვალ ხელი მოიკარეს, ჩახედა რიჩის და გაკვირებული შეეკიბა გამეჭვლად.

— ვინ მოიარა ჩემი რიჩინი, ბობოქარი, მღვდელე? გაეცინა მოასუსტეს და ანებზე ჩამორიგებულ რისტყერ ლამიონებისაკენ აწინა თვალთ.

თავის ყოფილ სახლში აღნარეინ დახედა ნაცნობი მარია სტანისლავის ასულს... ცოტახანს ჩამოხდა სვეტებთან აივანზე და თავაქინდრელი მიეცა ფიტქს.

წულუკიის სახლ-მუხუმიასკენ წავიდა. ათოვლედ დედაკარა მარია სტანისლავის ასული. რაც ქუთაისმა განიცადა რესპუბლიკის მეორე ინსტრუქციად და კულტურული ცენტრად გადაქცევის შემდეგ...

მან მონახა თავისი თანაკლასელები, ქუთაისელთათვის კარგად ცნობილი დამსამუხრებელი სედაგოვი ე. ნახარიშვილი და კბილის ექიმი ბ. ბეზინელი.

იქნებ ამ ქალაქისკენ ღლრღვას და სიყვარულს ქართველებთან ნათესაობაც უძლიერებდა მარია სტანისლავის ასულს. მას ხომ დღის მხრე ბებია ქართველი (ჭიჭინასის ქალი) აყვავდა. საქართველო მას მეორე სამშობლოდ მიჩანია.

— **სტოპ ბერმამ**



მარია ლევეცკია ქუთაისელ სტრულენტბთან.

ფოტო გ. ციციშვილის

# ქათახის მაშინს ერთი დღე



ერთი წამი-შვილის



ვირია... დილით, მზებ რომ თავლები მიიფშვინტა, დაიანახა, რომ ქეთის გარდა ყველას ენის ქეთიმ გააღწია და დედისთან გადაიყვდა. მამა და დედა, ფეხა და მამა... და ისევ იწვეს თავიდან. მას აინდობენ შუწვევტოს გაუთავებული აღუტრია და იგი თავის ტვინისკად თინკოსთან ერთად პირველად გახვავთ უფროს და-მამბთან საფარჯიშოდ. ვარჯიშს მათ ახატვისაცმად დადეს ძალიან მსუბუქი სახე აქვს... ხელბურთი...

აქ წყნის გარეშე საკმე ვერ გვარდება... ყველაზე უფროსი—დათო განზე გადგა... ის რვა წლისაა, მეორე კლასის დრიადისანი მიწვევა და ტრლებში ფეხბურთის კვებრანად ითვლება... ზღბურთი და ისევ სამი წლის ვოკინებთან, რომლებსაც ვერ ბურთის დაგერა ვერ ასწავლა მამამ წესიერად რა მისი საკმე!

შვიდი წლის ოთარი, რა თქმა უნდა, ცდილობს არ ჩამორჩეს ძმას... მართალია, ვერ სურდა არ დადის, მაგრამ ტანსაცმელზე (რომელზეც უფლებას აძლევან) უფრო მეტი ნიჭი აწერია და ყველა თამაშისას აუყოლებულად შეხვია. მამას ქეთო, თინა და ექვსი წლის ნუნე შეუბირებდა, ოთარს რომ თავისი წვეულებრივი თავაჭვტრა არ გახსენებოდა... იგი თავაზიანად უფროსდება ღებმა...

იჩანავი ცივი წყალი მოდის... თანაც ძალიან, ძალიან ადრეა, ვერ ცხრა არ დაწყებულა... მზე, თოქოსი უნდა, ახ მზარეს ისე არ ანათებს, როგორც საჭიროა. ისე

ვერცინ ისაუბრებს, თუ ცივი ახაზანა არ მიიღო... და-თო სპორტმენის სიმაღლეა და გულბრტვილად ისტენ მამის რჩევას... მან ისედაც კარგად იყის, რომ ეს აუ-ცლებულია...

ნასაუზმებს დათო მუცდიწეობს. მამა და ნუნე ზა-ზარში მიდიან...

- გარეთ თინა ტირის.
- მანვერე ზელი, რამდენჯერ გინათარი არ აიღო ეს, არ ვარტა...
- მამის მხმა, დაბრუნებულა. ალხათ თინამ ისევ ში-ტებნა მწეანე ტყეშლებო...
- ქეთიმ შიშავა, — ვიუტობს თინა.
- ვერ მოიხმინა, გარეთ გაეარტა.
- ერთი ენახი, რა გააკვილე! ისწავლე! — ეკითხება მამა.
- კი.
- მამა იშვითად იღობება, მაგრამ თუ გაიღებმა, საკმე კარგადაა...

მერე ფეცა-ფეცით ჩაქმეს... ნუნეს ზაფიო ყუილეულის ატარებებს საქმეს.

- დაგეგვიანდება!
- მივიასწრებო.
- დეტრპო «კოლხეთის ცისკროსი ინსტინრება. მამა ამბობს, რომ ძალიან კარგი რომანია. როცა გვიზრტე-ზიან, უნდა წაიკითხონ აუტრელებო.
- დეტრპო თობინ მიდიან: მამა, დედა, ოთარი და ნუ-ნე, დედა სადილს დაამზადებეს... მერე კი ერთად წაე-ღებ პარკში.

მამას ესაღმებთან. ესენი მისი სტუდენტები აზიან. მამა პუადგიტორ ინსტრუტორი პოლიტეკური ცვიროზის კათედრის გატევა—ოთარს გამიხმინაქ.

როგორც იყო დაიწყო წარმადგენა: შესვენებაზე ზაგვებებს ზუღვტისკენ უწირავთ თვლი. ყველაფერი უნ-დაც — ნამსტვარი, კამფეტის, ღობინათიც...

მამა კორაღეს უფრო მეტად იღობება, ვაზუთის წა-კითხვისათ ვერ ახერხებს ხანდახან. სიგანარად კი ვერ მოიტევა. ხუთ ბაგეზე მარტო მუცელს ვერ დაუტრებებს შოსავლელად. ძველია ოჯახიც, სამსახურაც... ამიტომ იზინი არ ჰყოფენ მამაკვირს და ტალის საკმეს.

საღამოს, როცა ფართო ჩრდილები დაეფურება ზღებ-სა და პარკებს, ხუთი ბაგეზე დედ-მამასთან ერთად ჩამო-ყუბა ახალი ზაგვლობის კიბეებს.

პარკი, ქეთისისეთა საყვარელი ადგილი... აქედან მოლიანად ჩანს ტალეტი მწეანე უბოზობა და წითელი კრამიტის სახურავიანი შენობები, ქარბნების მიღალი საცემურებითა და რაიონი...

პარკში დაღამებამდე რტებან. პატარები თვლემენ, შინ წყნების დრია, ზედა ახალი დღე დაიწება—შრო-მის, ზრუნვის, სისხარლის დღე.





გულში, ადამიანურ, კეთილ თვისებებს ზრდიდა მათში, ეტრიადა ქვე-  
მალობას, სიყრულს, მამებლობას.

1922 წლიდან 1931 წლამდე თამარი მასწავლებლობდა თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ მუშათა ფაკულტეტზე—მუშა-  
ახალგაზრდობის სკოლაში.

26 წელი იმუშავა თამარმა ქართული ენისა და ლიტერატურის  
მასწავლებლად და ვისაც კი მუშაუნა მისი სუფთა ქართული, მისი  
დამაჯერებელი საუბარი, არსდროს არ დაივიწყებდა იგი.

წიგნის სიყვარულმა თამარი მიიყვანა კ მარქსის სახელობის სა-  
ქართველოს სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკაში.

ქართული ლიტერატურის, ისტორიის, ფოლკლორის, ენოგრაფიის  
ენციკლოპედიის, ჩუმი, უანგარო, განარღვებული ბიბლიოთეკარი მხა-  
რეთმცოდნეობის (ყოფილ ქართველოლოგიურ) კაბინეტში მუშაობს.

მასთან ხშირად მოდიან მკითხველები, რომლებსაც აინტერესებთ  
სად და როდის გამოქვეყნდა უკუხუტე ვარიანტების ოჯახისადმი გური-  
დან გაგზავნილი დეგუმა, ილია ჭავჭავაძის წერილები ეკონომიკის საკი-  
თხებზე, მასალები მარჯორი და ოლეგიერ უორდრობების საქართველო-  
ში ყოფნის შესახებ, მათი შრომები, ნიკო ნიკოლაძის თანაშრომლობა  
ფრანგულ გაზეთებში, მისი ფსევდონიმები, წინამძღვარიანაკარის სკო-  
ლის მუშაობა და მრავალი სხვა.

მცენერ-მუშაკები, ჰედავაგებები, სტუდენტები თამარისაგან ზუსტ  
და ამომწურავ პასუხებს იღებულობენ.


თამარ მუშავებდა იანა ჩაუყარა საფუძველი ქართველოლოგიურ ან  
მხარეთმცოდნეობის კაბინეტს, რომელიც 1935 წელს გაიხსნა და რომ-  
ლის გაგვედ დაარსების დღიდან 1942 წლამდე იგი მუშაობდა; მან  
შეკრიბა და აღადგინა ჩვენი დიდი მწერლის ილია ჭავჭავაძის პირადი  
ბიბლიოთეკა.

თამარმა შეადგინა ნიკო ნიკოლაძის არქივის კატალოგი, იგი, ჯა-  
ვახიშვილის შრომების სრული ბიბლიოგრაფია საძიებლებითა, XIX სა-  
უკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის  
ოთხი ტომი და სხვ.

მასთან საკონსულტაციოდ ჩამოიან არა მარტო საქართველოს  
რეიონებიდან, არამედ საბჭოთა კავშირში ცენტრალური ქალაქებიდან—  
მოსკოლიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან. თამარი ყველას დახმარებას  
ახეხავდა.

იგი ეკუთვნის იმ კეთილმინდისებრ, უანგარო ადამიანთა რიცხს,  
ჩუმიდ რომ აკეთებენ დიდ საქმეს.

**თამარ ოკროშინა**



**ას ქალაქში დაიწყო...**

მალა, გამხდარი, მიზიდვლი სახის, ახალგაზრდობაზე თავდა-  
დებით მზრუნველი, სავშობლის ბედზე ჩაფიქრებულ—აი, როგორი  
ახსოვთ მის მოწვევებს თამარ მუშავებდა.

თამარი დაიბადა 1895 წელს თბილისში, ინტელიგენტის ოჯახში.  
იგი ბავშვობიდანვე მოწინავე საზოგადო მოღვაწეებთან ტრიალებ-  
და. ესენი იყვნენ ცნობილი ხალხისანი მამო ყოფიანი, პოეტი შოი მღვი-  
მელი, მთარგმნელი და სტენისმოყვარე ვფერი კლიაშვილი, ჟურნალ  
„ჯეკულის“ აქტიური თანაშრომელი სოფიო ციციშვილი და მრავალი  
სხვა.

ლიტერატურულმა გარემომ განსაზღვრა თამარ მუშავებლის მოღ-  
ვაწურობის ბაზისაი. მან შრომა ქუთაისში დაიწყო 1915 წელს დაარსე-  
ბულ პირველ ქართულ ქალთა სასწავლებელში.  
იგი მშობლიური კულტურისადმი სიყვარულს ნერვავდა მოწვევთა

მთელი დღეები იჯდა ფანჯარასთან  
და უსმენდა მეზობლის სახლიდან  
გამოსულ ფორტეპიანოს გაუქმდავ  
ხმებს (იქ ვიღაც ვარჯიშობდა ყოველ-  
თვის), პატარა ქალაქის ხმაურს... უს-  
მენდა სიჩუმეს...

მთელი დღეები იჯდა ფანჯარასთან,  
ხშირად გაუნძრევლად, რადგან იყო-  
და, ასე შეიძლებოდა განკურნება  
მხოლოდ.

როცა 1924 წელს 12 წლისა ქუთა-  
ისის მუსიკალურ სასწავლებელში მი-  
იყვანეს, ცხოვრებამ სხვა აზრი შეი-  
ძინა. პირველი მისი შთაბეჭდილება  
და პირველი მისი იდეალი ლარისა  
ქუთათელაქე იყო, (ამჟამად ლენინგრა-  
დის კონსერვატორიის პროფესორი),  
შავვერკმანი, სხვიანი, მოღიმარე  
ქალი, თბილი და ყურადღებიანი. მან  
გადაწყვიტა თინას მომავალი. მაშინ  
ინტარა, თვითონაც მუსიკის მასწავ-  
ლებელი გამოსულიყო. ეს იყო რაღაც  
შორეული, მიუწვდომელი, ყველასგან  
დამალული ოცნება.



ხანგრძლივმა ავადმყოფობამ საშუ-  
ალბა არ მისცა 1932 წლამდე ენ-  
სერვატორიაში შესულიყო. იქ დაიწ-  
ყო მუსიკის შეცნობისა და დაუფლე-  
ბის წლები, როცა უსმენდა სათავა-  
ნებლად ზაქარია ფალაშვილს, როცა  
ანასტასია ვირსალაძის კლასში მიხე-  
და. იგი ეზიარა ანასტასიას სკოლის  
და სამუდამოდ დარჩა მის მოწაფედ  
და თავყანისმცემლად. მისგან შეიძი-  
ნა დახვეწილი გემოვნება, ლამაზი და  
მღერადი ბგერა, მალაღი მუსიკალუ-

რი კულტურა, კლასიკური მუსიკის  
ღრმა ცოდნა. მისგან ისწავლა რო-  
გორი უნდა ყოფილიყო პატარებთან.

— ესენი მივსებენ ცხოვრებას, —ამ-  
ბობს თინათინ ფონხუა, როცა უსმენს  
მოწაფეს და გრძნობს, რომ სწორად  
გადასცა თავისი სულის რაღაც ნაწი-  
ლი, როცა გრძნობს, რომ მომავალმა  
მუსიკოსმაც გაუტო და უბრუნებს ისე,  
როგორც ესმის მის პედაგოგს.







# ვაჟა



1915 წელი. თბილისი. ივლისის პახანაქება. მე მასინ უფროსი დის თანადადებობაზე ვმუშაობდი მე-14 ქართულ ლაზარეთში. იგი მოთავსებული იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში. ამ ლაზარეთის ერთერთ ბალატაში (ამჟამად 116 აუდიტორია) იწვა მომაკვდავი ავადმყოფი. ეს ავადმყოფი იყო ვაჟა-ფშაველა.

მასსოც უფროსმა ექიმმა ვ. მახვილაძემ დამავალა ბინიდან ლაზარეთში გადმომეყვანა ვაჟა. გაუბედავად მივადექი სანდრო რაზიკაშვილის, ვაჟას მშის, სახლს მღეთის ქუჩაზე (ჩნ 9).

პატარა და ბნელ ოთახში იწვა პოეტო—ნაბაღვაშისძე, გამხდარი, გაუპარსავი, მაღალი ტემპერატურით.

ვაჟამ ნაღვლიანი თვალით გადმოხედა და თეთრ ხალათში რომ დამინახა, წამოტრჩულა: «არ წამოვალ, მოვერევი»...

მოვეფერე, ვემუდარე—მოგარჩენი მეთქი...

«აჯობებს, ვაჟა, აჯობებსო»—ჩაერია სანდროც.

ვაჟამ კვლავ გადმოხედა. მე წასვლას არ ვაპირებდი. შემდეგ დამთანხმდა.

საკაცეს არ მიეკარა. წამოდგა. ხელი გადაგვიხა და სანდროს.

ჩვენც ვუყავარუნეთ და თვითონ ჩაუდა ეტლიში.

ლაზარეთი ახლო იყო და მალე მივედრით. მესამე სართულზე ნელ-ნელა ფრთხილად ავიყვანეთ, დავაწვინეთ დიდსა და ნათელ პალატაში, რომლის ფანჯრები აღმოსავლეთისკენ იყო მიმართული.

მასინდელმა საუკეთესო სპეციალისტებმა დაუწყეს მკურნალობა. აბა, ვინ დაზარდებოდა ვაჟას.

მისი შეუძლოდ ყოფნა მთელ საქართველოს მოედო. ხალხი ფეხზე დადგა. «ავად გამხდარა ვაჟაო».—ამბავმა ყველა კუთხეს ჩააღწია...

ექიმები არაფერს აკლებდნენ. მთელი ლაზარეთი თავს ევლებოდა. შეესულ მასთან ვიყავი—ვუვლიდი, ვართობდი, ველაპარაკებოდი.

მოდიოდნენ და მოდიოდნენ მნახველები: ნაცნობები, ნათესავები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები... მოკონდათ ხილი. ვარდები. ერთხელ მთაწმინდის წყალი ითხოვა. მასწინვე დოქით მოვეტანეთ მთაწმინდის წყაროს ცივი წყალი. რომ დალია, თითქოს ძალი მოემტა, გამოცოცხლდა და მითხრა: «ნინო, შენთან მინდა სურათი გადავიღო, მოსაკონებლად.»

დაიბარა ფოტოგრაფი. ერთერთმა მწერარმა (არ მახსოვს ვინ იყო) მოი-

ყვანა ქვანია. მას სხვა დებიც შემოქცნენ.

ვაჟამ მითხრა: «შენ ჩემთან, გვერდით დაჯექიო»...

შემდეგ ძალზე დასუსტდა, ძლივს ლაპარაკობდა, მალე იღლებოდა. ერთ დღეს ჩვეულებრივად ვიყავი მასთან. მეგონა ეძინა. ხმას არ ვიღებდი, ვიჯექი ჩემთვის, რომ თვალები გაახილა და მითხრა:

«ნინო, მინდა ლექსი დაგიწერო, მომეცი ქაღალდი».

იმ წამსვე მოვარბენინე ქაღალდი... პეგრამ ფანქარი ხელიდან გაუვარდა... ვერ შესძლო. საოცრად იყო დასუსტებული, ავადმყოფობამ დაჯახნა... სიცხე კვლავ მაღალი ჰქონდა... იწოდა ვაჟას ფილტვები... იგი თანდათანობით იღუოდა.

შორს იყო მისი ფშავი, მისი მთები... მისი ბირიშზე და ღვია... განაწამებმა გირტეკვა სული. ეს იყო 1915 წლის 27 ივლისი. გულით დაიტირა ქართველმა ხალხმა თავისი სასიყვარულო შვილი.

მე კი დამრჩა სამუდამოდ მის სასთუმალთან ყოფნის მოგონება, - დაუვიწყარი წუთები.

**ნინო ვახაჩიძე-ციციხვილი,**

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი.



ეს იყო 1950 წელს, ლალი სპორტის ენთუზიასტი მამის, მიხეილ იზაშვილის დახმარებით მაგდის ჩოგბურთის დაუფლებას იწყებს.

1951 წელს იგი უკვე საკავშირო სარბიელზე და 80-მდე მონაწილე ქალთა შორის იკავებს მეოთხე-ტე ადგილს. 1952 წლის გაზაფხულზე თბილისში ჩატარებულ საქართველოს პირველ ოფიციალურ ჩემპიონატში მეთერთმეტეკლასელმა ლ. იზაშვილმა დამსახურებულად მოიპოვა უძლიერესის სახელი, რომელიც 1958 წლამდე არავისთვის არ დაუთმია. ამ ხნის განმავლობაში ლალი დიდ სპორტულ აღმავლობას განიცდის, იმარჯვებს უძლიერეს ვაჟთა და ქალთა საკავშირო ტურნირებში, ირიცხება საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში და ღირსეულად იცავს საბჭოთა სპორტის სახელს საერთაშორისო შეხვედრებში — წარმატებით გამოდის ჩინეთის, იუგოსლავიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა წინააღმდეგ. აღსანიშნავია მისი გამარჯვებები იუგოსლავიის მრავალგზის ჩემპიონ ლ. ჩოვიჩზე, ბულგარეთის მრავალგზის ჩემპიონებზე და პრიზიორებზე ა. ბოიჯაევაზე და მ. იანევაზე.


ლალისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 1958 წლის სპორტული სეზონი. საბჭოთა კავშირის პირად

პირველობაზე იგი ამარცხებს კაუნასელ სპორტის ოსტატს ნ. რამანუსკაიტეს, მის თანაგუნდელს, ოსტატს ო. ჟილევიჩუტეს და სხვებს. გათამაშების ნახევარფინალში ერეწენელ ს. ზახარიანთან მხოლოდ შეხვედრის უკანასკნელ მომენტში უშვებს საბედისწერო შეცდომას და აგებს პირველი ადგილისათვის ბრძოლის შანსებს. მესამე საპრიზო ადგილის გამოსავლინებლად იგი ხვდება საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს ვილნიუსელ სპორტის ოსტატს ა. ტვარონაიტეს, ამარცხებს მას და ხდება ბრინჯაოს მედლის მფლობელი. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე ლ. იზაშვილმა თავის ამხანაგებთან ერთად წარმატებით დაიცვა ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება, რისთვისაც საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მას გადასცა საპატიო სიგელი და გამოუცხადა მადლობა.

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო საბჭომ ლალი იზაშვილის მიანიჭა სპორტის ოსტატის წოდება. თბილისის საშუენებლო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკმა ლალი იზაშვილმა საქართველოში პირველმა მიიღო სპორტის ოსტატის წოდება მაგდის ჩოგბურთში.

ფოტო ა. ტაბატაძე, ი. იუზანაშვილი

# სპორტის სეზონი



# ლენინის ორდენოსანი



ლეიკს სოფლის ზღვა, «მწვანე ოქროს» უწყლო ზღვა. ლიანდაგებივით გაწვდილი თვალუწვდენი მწკრივები მართლაც საოცრად გვიან ტალღებს. ოღონდ ისინი არ შეუხარებენ, არ ბოხოქრობენ. წყაპ-წყაპ, წყაპ-წყაპ—ისმის ბურქებიდან არდნავ გასაგონად, ისმის დილიდან საღამომდე და ლორთქო ყალბტებით დაფარული ათიათასობით აქოჩრადი ბურქი სწრაფი ხელებით თვალის დახამაშებამში იკრივება.

— რა შეუმჩნევლად ჩამოვამდა, —წყენით ამბობს ელპიტე და მხრებზე იდგამს ჩაით გაესილ ვეება გოდორს. დღეს მესამეჯერი მიაქვს ჩაი ასაწონად. ოთხმოც კილოგრამამდე მოკრიფა. ამის მიხედვით ამბობენ სოფელში—ელპიტეს ახალგაზრდა ხელები აქვს. მას შეიძლება დამაჰა ჰყავდა, ამიტომაც იყო, რომ ხშირად უწყევდა მამის მხარდამხარ თოხით ხელში დიდიდის საღამომდე მუშაობა. სწავლის საშუალება არ ჰქონდა და ტრაკერვას მიჰყო ხელი. მისი შეკერული საბნები ბევრი გასათხოვარი ქალის მზითველს აწმუქნებდა. საკუთარი მზითველი გამოიწყო, მეზობელ სოფელში გათხოვდა და მალე დედა გახდა. კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისთანავე ელპიტე გო-

ლიაქე მისი წვერი გახდა, გაიარა ერთთვიანი- საბრიგადირო კურსები და ხელმძღვანელობდა ქალთა ბრიგადის. ქალებმა დაბარეს და გააშენეს რამდენიმე ჰექტარი ჩაის პლანტაცია სოფელ ვალმა დეგაზუს კოლმეურნეობაში. 1932 წელს ელპიტე დამკერულთა პირველი სარაიონი ყრილობის დელეგატია.

1934 წელს ელპიტე კომუნისტური პარტიის რიგებში შედის. თანასოფლელები მას სოფელ დეგაზუს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ირჩევენ.

1934—36 წლებში ელპიტე მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის წევრია. სამი წელი აგროტექნიკოსად მუშაობდა, წლების მანძილზე კოლმეურნეობის საწერგეს განაგებდა, ბოსტნეულ კულტურებს უვლიდა.

სამამულო ომის დროს მან კოლმეურნეობის №3 ბრიგადის ბრიგადირობა ითავა და სამშობლოს დასაცავად გაგზავნა ერთადერთი ვაჭიშვილი.

საკუთესო მეჩაიე სოფელში შეუდარებელ მეპარეშუმედაც ითვლება. იგი ორჯერ დააჯილდოვეს სიფლით «საკუთესო მეაბრეშუმე», ხოლო 1939 წელს გაგზავნეს გამოიფენაზე მოსკოვში, როგორც მოწინავე მეპარეშუმე.

სოფელ დეგაზუს კოლმეურნეობას აქვს ახალდაგებული სკოლის შენობა, კეთილმოწყობილი საავადმყოფო, დიდი და ლამაზი ადმინისტრაციული სახლი, კლუბი, აბანი, მაღაზია. სოფელში ყველა ტექცივით, რომ მათი აუგების საქმეში ელპიტე გოლიაქესაც უდევს წილი.

შარშან ელპიტემ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 7387 კგ ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, გამოიმუშავა 1020 შრომადღე, ფულად მიიღო 44.100 მანეთი. მისმა რგოლმა კვლავ შეინარჩუნა მოწინავეობა და გარდამავალი წითელი დროშა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დააფასეს სახელოვანი კოლმეურნის თავდადებული შრომა და ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის 50 წლისთავთან დაკავშირებით ე. გოლიაქე დააჯილდოვეს ლენინის ორდენით. ამ დიდი ჯილდოს პასუხად მან ვალდებულება აიღო წელს მოკრიფოს და სამშობლოს ჩააბაროს 9.000 კგ ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ხოლო ვალენტინა გაგანოვას მაკალითის მიხედვით გადაწყვიტა ჩამორჩენილ რგოლში გადასვლა.

... ჩაის ასაწონი ბუნქტიდან ქალების სიცელი ისმის. ელპიტეს მოკრევილი ფოთოლი ასაწონად მიაქვს. თავის შრომის გამოვლილია, მაგრამ მაინც წყდება გული, რომ მალე დაღამდა.

ბ. ხაბთაიანი





# მეტი უნდა გავხადო



პატარა ფირცულ სახლში სიცილიდს გბრძვის დედა, გაუთრებელი შვილი თავზე ადგას და ხელებს იმტვრევს!

— არ ინალელო... დედა უნდა მოკვდეს და შვილი დარჩეს. დარდად მხოლოდ ეს მიმეყება—შუა გუზაზე გტოვებს. დაქალღებული რომ მენახებ, სიცილიდს არად ჩავადებდი... გამოუცდილი ხარ, გაგვიტრიალებ. გასაღდეს: ოჯახი არ შეარცხნო, გყვარდეს პატიოსანი შრომა, შრომაში ჰაივებ ზღინებრებას...—ჩურჩულებენ დედის ტუტები...

რუსიკის თავზე ცა ჩამოქეცაო თითქოს, იგინა დედის სიცილილიან ერთად ყველაფერი გათავდა, მაგრამ მისა და მანაზარება უშველა...

დგას რუსიკო სანძოქ წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის დირექტორის კაბინეტთან და შესვლა ვერ გაუბედვის. ზედაეს: წარამარა იღება კაბინეტის კარი, შედიან მუშები—მისხუცები და ახალგაზრდები, ღობილით იგებება მათ ქერა, სანდომანი სახის ვაკეაკი.

დირექტორმა შენიშნა კარებთან ატუხული ცისფერკაფება გოგონა.

—თქვენ ჩემთან ხართ? შემოიღით.

შვილა და განცხადება გაუწოდეს. რამდენიმე წუთის შემდეგ კი რუსიკო სანძოქ შინისკენ მიიჭრადა. ხველ შეშობას დაიწყებს ფაბრიკაში აღიწერე წამოღება, მამას საუბრე გაუწავდა, ისე გააწყო მავიდა, როგორც დედა ამ იცოდა, სახლი დააღება და დილის ხუთ საათზე ფაბრიკის მაღალი და ფართო კარები შეაღო.

ერთი საღი ჰქონდა, ვიდრე დაზუსტთან იხილავდა აუცილობს. დაზუსტთან მივიდა და შიშმა შეიკრთა:

—რომ არაფერი არ ვიცი?

ძაფსაღები საამქროს ცვლის უფროსმა ხელი მოხვია ახალბუბას, გამოცილდა მუშა აზილი სულაბერიძისთან მიიყვანა.

—ჩემო აზილი, შენთვის ჩამიბარებია. შენი გაზრდილებით ამკაცეს ფაბრიკა, ნურც ამას დააძლევ დაზნარებას.

—კეთილი იყოს შენი მისცლა, შვილო, და-

ხმარებას არ დავიზარებ. დანარჩენი შენს ბეჯითობაზეა დამოკიდებული.—და იბეჯითა რუსიკომ, დაუცხა ამაგი გამზრდეს. ერთ თვეში დაეუღლა გამკინძვლის პროფესიას, შალე პარკის ხარშვისა და ძაფის ამოხვევის სესკიალი-სტიტე განება.

რუსიკო უთვინა მიდის ფაბრიკაში, დაზუბებს აწუხებს, ჯარსავითი ტრიალებს, ასი თვალი აქვს და ასი ყური.

გუგულებუნ დაზუბები... და იხვევა პირველი ხარისხის ძაფი.

ქარხანაში ყველა იცნობს რუსიკოს. ვინ არის მოწინავე გვემის შესრულებაში? რუსიკო სანძოქ!

ვის აქვს ყველაზე კარგი ხარისხობრივი მაჩვენებლები? რუსიკო! რუსიკო!

ვინ დაზოგა ყველაზე მეტი ნედლეული? რუსიკო! ვინ არის კარგი ამხანაგი და მეგობარი? რუსიკო!

მოწინავე ქალიშვილი ლენინური კომკავშირის რიგებში მიიღეს.

კომკავშირის საფაბრიკო კომიტეტის ღიბხანს არ უშეკვლია იმის შესახებ, თუ ვისთვის მიწელი კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელობა—რუსიკო გამოიძიხეს და აუწყეს, ცეცხლობა მიიღეს სასწრე ქალიშვილს, რომ შერცხვის? უფრო მათე არ უთქვამს. შესენებაზე ამხანაგებით დააწყო, პურის ჭება არ აცდა:

—ნამუხანი ვასუქებით, სისხნებ მუშაობაში ხელს შეეშობლით.

აქნება ქალიშვილებს კომკავშირული ბრიგადის შეშნის შესახებ, თან დაუმატა:

—მეშინია, გოგოებო.

—რამ შეშინებ? ყველანი შენთან არა ვარც?

—გაამხნებ და მხარში ამოუღებენ რუსიკოს ბუბული ჯაწილიძე, თალიკო კუხალაშვილი, გერა ყურაშვილი, ნინო კობალიანი, ნათელა აბუკაძე და ლენა ზენება, სოციალისტურ შუკობრებაში გამოიწვიეს მეორე ცვლის ბრიგადა.

მაღელ რუსიკოს ბრიგადამ მთელ ფაბრიკაში ათქეცა სახელი. როდესაც ჩვენს ქვეყანაში დგას მოწოდება კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნის შესახებ, მას მხარე-გაუღელ გამოეხმანურენ რუსიკო სანძოქს ბრიგადის წევრები, დაიწყეს ბრძოლა კომუნის-

ტური შრომის ბრიგადის სასატიო წოდების მოპოვებისათვის. და აი, ბრიგადამ წილური დაგაღება 115 პროცენტით შესარულა და 91 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქტია გამოიშუშავა, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 75 პროცენტისა; დაზოგა 54 კილოგრამი ნედლეული... და კიდევაც მოიოგა კომუნისტური შრომის ბრიგადის სასატიო წოდება ბრიგად წილს მეტი ენერგიით ჩაება შრომაში, პირველი კვატრალის გემა 112 პროცენტით შესარულა, 88 პროცენტით პირველი ხარისხის პროდუქტია მისცა ქვეყანას, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 75 პროცენტისა.

გუგულებუნ დაზუბები... თითქოს იხინებ ემხარებინას სავითო ზეშინა: რუსიკოს მეტრულაზე აბრწყინდა ლენინის ორდენი; ეს დღე ყველაზე ზღინებრია რუსიკოსთვის, მისი ბრიგადის წევრებისათვის, მთელი ფაბრიკის კომკავშირისათვის...

სახეგაბრწყინებული რუსიკო თავიუღლებით ხანხისხანებ მიიჭრათის, უნდა გაახაროს მოხუცი მამა, ბიძა, ახალბუღები.

დედაც ხომ ამას ნატრობდა...

რუსიკო სანძოქს შრომა მარტო ფაბრიკის კედლებზე როდია მოქეული. გადაეკრება თუ არა ცას სინათლე, იგი აბრეშუმის ქიას დააპურებს. ბრიგადის ყველა წევრს ჰყავს გამოსაცვლად აბრეშუმის ჭია.

ფაბრიკადან დაბრუნებული კალათით ხელში, ბრიგადის წევრებს ჩამოქრთობებს.

—გოგოებო, გოგოებ! ამწუნებ ოქრო მხოღვავებულია გვეძახის!

—გოგო, შენ იმდენს იზამ, ქმარს გამაკებულე: თუ ფაბრიკაში არა ვარ, ჩაიმი მიმარბენინებენ. სახლში აბრეშუმის ქია მღიღობდა! მეტი იწვე ფაბრიკა, მის კედლებში...—ამბობს გუბული ჯაწილიძე და გამაღებით კრფს ჩაის ნახ ლეუბებს...

კვლავ გუგულებუნ დაზუბები... იხვევა ძაფი, საათითი და ნახი ლენინის ორდენით მეტრულა დაშეწებული რუსიკო ტრიალებს საამქროში.

კიდევ დიდი შრომის გუზა აქვს ვასავლელი, წინ შეწვდილია. იცის რუსიკომ—დედასამშობლის საკეთილდღეოდ შრომა მართებს, უფრო ბეჯითი და შეუბოვარა...

— იყო და არ იყო რა...— იწყებდა ზღაპარს დედა.

— ჩნტები რა იყო და რა არაა— ფიქრობდა ბუნართან მიმჯდარი გოგონა.

— დედა, ეთერი მართლა იყო?— ეთიხებოდა,— აბესალომიც? შურმანიც?

— ვინ იცის, შვილო, იქნებ მართლა იყო, იქნებ შეთხზეს...

— ვინ, ვინ შეთხზა, დედა?

— ხალხმა, შვილო.

— ხალხმა? ყველამ ერთად... როგორ?— უკვირდა დანარჩენ ბუთსაც— მის და ძმას. დედა კვლავ განაგრძობდა. ბავშვები ღუმდნენ. სოფელს კერა ბენინა, ბავშვებმა იცოდნენ— გარეთ ძალიან ძნელოდა, ციოდა კიდევ, რადგან ზამთარი იყო...

— ჭირი იქა, ლხინი აქა.— ამთარებდა დედა.

ბავშვები ღუმდნენ.


— ალბათ, როგორ უჭირს ახლა ამირანს, მიჯაქუელს იმ მალალ მთაზე?— ნაღლიანად ამბობდა პატარა ქსენია და უფროს ძმს გაღებდა. ცუბაწული თავს ხრიდა. ამა, რა ესაუბრა, მანამ იყოფა, რომ ამირანს უჭირდა, მაგრამ, რას გააწუხობდა. დედას ეღიშებოდა და რეგოგობით აწვევდა ბავშვებს ლიგინში.

ასე იყო ყოველ საღამოს... იქნებ სწორედ ეს იყო ყრბობის წლებში გულსაგარდნილი მარცვალი, მერე რომ გაღვივდა და ხალხის შემოქმედებისაში დიდ სიყვარულად იცხა, იქნებ ამ ზღაპრებმა, ლექსებმა, თქმულებებმა, გუროს იმ საღამოებმა მიაჯაჭვეს ამ თვითუღელ...?

მე არ ვიცი, ფიქრობდა იგი ამ საღამოებზე თუ არა, როცა დიდი ხნის შემდეგ, უკმა მცენურებათა კანდიდატი ქალი, ფეხით გადადიოდა როცმოდან არბოტის თემში...

ქალმა ექსპლუატორის ხელმძღვანელი იყო. თან ამბოხდა სამი ქალი, უნდა მივლო ბირაკეთი ხეცურები. და ყველაფერი მოხდა ისე, როგორც საზოგადო ზღაპრებშია ნათქვამი... იყო მრეწველი მზიანი დღე, ცხენს აკიდეს პარკი, გაედგნენ გზას... ხან აღმა, ხან დაღმა მიილაქებოდა ბილიცი, ნელი ნახეთი მიპყრობდნენ ქალბი, იცნოდნენ, მკეცობდნენ მთისა და ბარის ამბებს, გადაიარეს მთა, დაეჭვენ ვაჭრე ღელ... ისევ მთა აღმართათ წინ, კიდევ ვაჭრე და მერე ისევ მთა...

— ნელო მართლა ცხრა მთა უნდა გადავიარო, რომ მივაღწიოთ მიზანს!— იცინობდა ქსენია. მზე იჩივებოდა და არ უნდადა გზას დასასრული. მერე, რაც მთავარია, უნდა გავცელო ცნობილი გველურები ქსენია წინა დღით დაყო მოკლედ ამ ხეცურებთან და სადაღე შობის აზროდობა აქედნათ მგზავრებს. ფეხს აუჭქარეს, ცხენი ფრტუნით მიიწვინდა წინ...



უცერად ცა ჩამოქდა, გახდა ნაცრისფერი. ქუხილმა გადაუარა შობეს. წამოვიდა საწინელი ჯალი. დახმნდა. დაუშვა კოკისპირული წვიმა... წუიი და... ცხენს ფეხი დაუსხტა... სადღაც, შორიდან მოესმათ ხმაური... ყოველის მზრიდან ჩასადრებოდათ საფრთხე... ნელ-ნელა მიიწყდნენ წინ... გადარჩნენ.

ამ შემთხვევას სრულებით არ შეუშინებია ქსენია. მან მეორედ მოიარა ხეცურეთი, მერე სავანით, საქართველის ყოველი კუთხე— მთა და ბარი.

მე იგი დაახლოებით ათი წლის წინათ ვახვებ. ემურეთში ქალს ცისფერ კაბაში, ცისფერთვალუნას და მიკვირდა სად იყო ამ საოცრად ნაზ არსებში ამოღდა გამბედაობა და ძალა.

ზღაპრების ცისფერი დედოფალი დაგარქეთი მას... და ამ დედოფლის სამეფო იყო დიდი და მდიდარი— საქართველის მთა და ბარი. იგი დადიოდა და იცვდა ხალხში ვახვებულ ერის სიბრძნეს, იკვლევდა, ამუშავებდა მეცნიერულად.

ახლა მაგიაზე მეცნიერი ქალის ყველა ნაშრომი დევს. ვათავლიერებ. სიზოფა. ის ჩემს პირიანარს ზის.

აქ არის ჩემთვის კარგად ნაცნობი ქართული ზღაპრების კრებული, ილუსტრირებული ენერგ ახელუდიანის მიერ, ხალხური საბავშვო ლექსე-

ბი, გამოკლევა— ქართული საბავშვო ფოლკლორი, ქართული გამოცანები, ქარფელი ხალხის ბროლა საშობოლოსათვის ერთელ მთორის ხელმძღვანელობით, თამარ მეფე ხალხური შემოქმედებამ, ქართული ხალხური საგმროსანსტორიო სიტყვიერება (სადოქტორიო დისერტაცია), ქართველი სახალხო გმირები, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, ვზავ-ვესურეთის პოეზია, ნარკვევები და ბევრი კიდევ სხვა...

ახლაც შევერებ ზღაპრების ამ ცისფერ დედოფლს და მიკვირს, სად იყო მასში ამოღება ტუეა და ცოლმა, ამოღება ნებისყოფა... რამდენი თეთრად გატბილი ღამე ახსოვთ, ალბათ, ამ წიგნებს... თითქოს ჩემს ირგვლივ ყველაფერი დაურეოთა— საქართველის მთისა და ბარის ყველაფერი...

ამ ქალის პატარა ხელებმა დაკრება იგი... ვიცი, მეამყება. მისი წიგნები შეგხვდებოდა რუსეთში— საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოქვეყნებული, ბუდაპეშტა და ბერლინში, კიდევ ბევრ უცხოურ ტრანსალბში შეგხვდებოდა მის გამოკლევენსა და წერილებს.

მეუ არასოდეს არ მაგიწყდებია, რომ ხანჯალიანი ხეცურთი ლაქტორიან მაქციებთან— მოკრძალებული წყრის მისი ყოველი ასპირანტი დაეთი გოკოვური... ამ დედოფლი მივიღი, მთელს სახეზე ხმლის ნაჭრიალოვით.

მეუ თვეწიან საუბარი არასოდეს მომიწყინებდა...— სწერს ბუდაპეშტის უნივერსიტეტის ლექტორი მარტონ იშტვანოვი, მისი დისერტაციის ასპირანტი, რომელმაც საკანდიდატო დისერტაცია მიხილსიმი დივიცა... კიდევ ბევრი, სხვა ბევრი სწერს თავის საყვარელ პროფესორს.

«განსწავლულ ქალთა შორის სახელოვან მკვლევარს... ქ. სიხარულდისა წაუწერა წიგნი მესხეთსა— მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ...»

ქართული მეცნიერი ქალს ბევრი მეგობარი და თავიანისმცემელი ჰყავს აქ— საქართველოში, რუსეთსა და უკრაინაში, აზერბაიჯანსა და უზბეკეთში, უნგრეთსა და გერმანიაში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

«ყოლეგას და ამხანაგს, მომიხივლესა და მკვიან ქალს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ჩელი საუკეთესო სურვილებითა...— სწვერს უცხოელი მეგობრები...»

მომიხივლეთ, მკვიანი ქალი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელოვანი მკვლევარი ქსენია სიხარულდი...— ამბობენ მასზე უცხოელები, ასეც იცნობს მას ქართველი ხალხი.

მაგრამ მისი მოწაყვევისათვის ის მაინც არის ზღაპრების ცისფერი დედოფალი.





ჩამუქდა მდინარე ფლავი, ახმაურდა, მაღლა ასწია მწყანე ტალღები და მთლიანად დაფარა დანაღვი. როცა ტალღებმა უკან დაიწვიეს, გამოჩნდა მომღიმარე სახე მწუთუნსავე ქალიშვილისა. ნახიზეჲ ამოვიდა ახალგაზრდა დანდაი. ვისი მსგავსიც არავინ იყო მთელ კუნძულზე იგი შეედა, შეედა თავისი გამოსახულებას და არ დაიყვარა ბედნიერება.

— გამაღობ შენ, ფლავი! გამაღობოთ თქვენ, მწყანე ტალღებო! გადავადო ვიხი, რომლის დახმარებით განვლო მთელი ეს გრძელი გზა მდინარემდე და სწრაფად და მარად, როგორც ქურციკი, განვრინდა მშობლები სოფლებში. მას გზას უფობდნენ ეკლავანი კაცტულები, ფეხტეფ ფეხდავად ეფრინებდნენ გახმარია მალაგებში, ქიხთან ახლოს, ზღურბლზე, პალეგების ჩრდილში, თამაშობდა მისი ლეიტუქი.

— შეილო ჩემო, ჩემო შეილო! ბიჭი წაშოვარდა!  
— დედა! დედა!

მაგრამ როცა მიიჩინა, იმედგაცრუებული და ნაწყენი შედგა:

— მე დედა მეგონა...  
შეილისკენ დაიხარა დანდაი:  
— შენი დედა ვარ, შენი, შეილო! ვერ მიცანი?

შეარედ ქეთიონებდა ლეიტუქი:  
— გამშირდი, გამშირდი! მე შენ არ გიცნობ! ჩემი დედა ყველაზე ლამაზი იყო ამ ქვეყანაზე. მას ჭალარა თვა და ნაოქვებანი სახე ჰქონდა!

— დამწვდილი, შეილიყო, მე ვარ შენი დედა! ეყოლება მდინარე ფლავი და მდინარეს ახალგაზრდა, შემომხვდეს, გუნა არ გიხარია ახალგაზრდა, ლამაზი დედა რომ გავს? ნალღებმა მოიყვანა დანდაის გულში მას ზომ მისთვის, მისი შეილისთვის სურდა ისევ ახალგაზრდა და ლამაზი ყოფილიყო.

ახალგაზრდა დანდაის დაბრუნების ამბავი სწრაფად გავრცელდა სოფელში. მის პატივსაცემად აინთო საბანაკო კოცონი და დაირჩა ტამბაქოს ხმები, როგორც დიდი ხნის წინათ, დანდაი ცხვეპის ქალიშვილებში... ლეიტუქი კი ზურგს აქცევს, ტირის და ნატრობს თავისი მოხუც დედას.

ჩერდება დანდაი, ეუფერება ბავშვს და მიდის იქითკენ, სადაც მოედინება მდინარე ფლავი. ისევ დღე და ღამე მიიჩქარის იგი ნაყრისფერი უღანობით და ბნელი კუბურებით, ისევ მიადგება მდინარის ნაპირს, გაიძირის მალაგის კახას და შედის ცოც მომწყანო წყალში. როცა წყალმა დაფარა ქალის მხრები, იგი შეევედრა მდინარეს:

— მე შეგი დანდაი, მაღლობას გიძღვნი, ჰოი, დიდო მდინარე, შეიფასო საჩუქრისათვის — ახალგაზრდობისათვის. მე გიბრუნებს მას, შენ, ბრძენი ფლავი, უფოოდ მიხედვნი, რომ ბავშვის სიყვარულა სილამაზეზე და ახალგაზრდობაზე უფრო შეიფასავი. ჰოი, მდინარე ფლავი, მომიტეხე მე! გადამაქციე წინანდელ, მიხუც დანდაიად!..

ჩამუქდა ბრძენი მდინარე ფლავი, ახმაურდა, ასწია ტალღები და თავზე გადაველო დედას. როცა ტალღებმა უკან დაიწვიეს, შევიდად მოლოდინე მდინარის შუბტულში გამოჩნდა მოხუცი, მკარა ქალი ყელსაბამითა და ჩელებზე ბრწყინავა ბეჭდვებით.

— გამაღობ შენ, მდინარე! ესეც წაიღე სილამაზესა და ახალგაზრდობასთან ერთად! — და ქალმა ტალღებით გადაისროლა ყელსაბამი და ბეჭდები.

როცა თავის ქოხნი დაბრუნდა დანდაი, გახარებული ლეიტუქი გამოეჩინა მის შესაბუევრად:

— დედა! სად იყავი ამდენხანს?!  
— შეილო, — ჩერტულებდა დანდაი, — ჩემო შეილო!

— და იმ დღიდან ფლავი აღარავინ უბრუნებს ახალგაზრდობას.

თარგმანი რუსულიდან



მხატვარი ლ. შენგელია



# საზაფხულო კაზები ქალიშვილებისათვის



მოდელები ჟურნალის  
მკითხველის ჟორჟეტა  
თაგაძისა

6.8/168

